1257588987670

საქართველოს უზენაესი სასამართლო

0110, თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. № 6. ტელ: (99532) 2 990164, 2 996546, ფაქსი (99532) 2 990164
ელ-ფოსტა: info@supremecourt.ge www.supremecourt.ge

საქმე № 330100114448513

17.02.2020/№57ა3-19

ადვოკატ ბექა ბასილაიას
ქ.თბილისი, დ.არაყიშვილის ქ. N3, სართული 4, ბინა N71

ბატონო ბექა,

საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოსული თქვენი განცხადების (რეგისტრაციის Nგ-270-20) საფუძველზე გიგზავნით თქვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას.

სისხლის სამართლის საქმე მსჯავრდებულების - გიორგი საბანაძის, გიორგი უგულავას, დავით ავალიანისა და სხვათა მიმართ საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოვიდა 2019 წლის 23 იანვარს.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე მოსამართლე გიორგი შავლიაშვილს დაეწერა 2019 წლის 24 იანვარს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბერს საქმე გადაეწერა მოსამართლე მამუკა ვასაძეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 22 იანვრის განჩინებით მოსამართლე მამუკა ვასაძემ განაცხადა თვითაცილება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ საქმეზე სახელმწიფო ბრალმდებლის პირველი მოადგილის რანგში, წარმოადგენდა საქმეზე პასუხისმგებელი გამომძიებლებისა და პროკურორების ზემდგომს.

მოსამართლე მერაბ გაბინაშვილს სისხლის სამართლის საქმე დაეწერა 2020 წლის 23 იანვარს. 2020 წლის 30 იანვარს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ (შემდეგი შემადგენლობით - მერაბ გაბინაშვილი, შალვა თადუმაძე, გიორგი შავლიაშვილი) დასაშვებად ცნო საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორების – ქეთევან ჩაჩავასა და გიორგი მუჯირის საკასაციო საჩივარი.

პატივისცემით,

ნიკა მეფარიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი მხარდაჭერის
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს რეფერენტი